20.02.2019

იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2019 წლის იანვარი

იმპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 1.2 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 1.6 პროცენტიანი ზრდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ფასები 1.7 პროცენტით გაიზარდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე. გარდა ამისა, ფასების 1.9 პროცენტიანი მატება ფიქსირდება სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე. რაც შეეხება ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 4.5 პროცენტიანი კლება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2019 წლის იანვარში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2018 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**101.6**	**1.63**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**101.9**	**0.15**
D	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**101.7**	**1.54**
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	105.7	0.69
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	108.6	0.87
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**95.5**	**-0.05**

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

იმპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე=100)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge